

1908

კანკალე

№ 10

ოციციალური განცოცილება.

განჩინება უწმიდესი სინოდისა.

29 მარტი 1908 წლის № 2268, სასულიერო პირთა დაჯილდოების შესახებ სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის.

მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის უქაზისამებრ უწმიდესმა და უმართებელესმა სინოდმა მოისმინა ეპარქიის მღვდელთ-მთავრების, მოსკოვის სინოდის კანტორის და სასახლის სამღვდელოების გამგის წარმოდგინებანი მათდამი რწმუნებულ სასულიერო პირთა დაჯილდოებაზე სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის. ბრძანება: საფუძველსა ზედა მომხდარ მსჯელობათა უწმ. სინოდმა განამწესა: წარმოდგენილ სიებსა შინა მოხსენებულნი სასულიერო პირნი იქმნენ დაჯილდოვებულნი სიებში ოღნიშნული ჯილდოებითა და მღვდელთ-მთავართა, მოსკოვის კანტორის და სასახლის სამღვდელოების გამგეთა საცნობლად დაჯილდოებულ პირთა სიადიბეჭდოს „საეკლესიო უწყებაში“.

ა) არქიმანდრიტობის ხარისხით, — წინამძღვარი ჭელიშის მონასტრისა, იმერეთის ეპარქიისა, რაჭის მაზრისა იღუმენი კლიმენტი;

ბ) დეკანოზობის ხარისხით: თფილისის ქალაქის სიონის საკრებულო ტაძრის მღვდელი სიმონ ჯაჯანიძე; შილდის ეკკლესიის მღვდელი მათე მირიანვი; ღილი ზანავის ეკკლესიის მღვდელი, სამეგრელოს ეპარქიისა მღვდელი კონსტანტინე ბერიძე; ასკანის წმიდის გიორგის ეკკლესიის, იმავე ეპარქიისა, მღვდელი ევთონ თავაძე; შემოქმედის წმიდის გიორგის ეკკლესიის მღვდელი, იმავე ეპარქიისა, ანტონ გადოგრე; თფილისის ქალაქის წმ. დავითის ეკკლესიის მღვდელი, იმავე ეპარქიისა, ანტონ გადოგრე; თფილისის ქალაქის წმ. დავითის ეკკლესიის მღვდელი

ნესტორ მაჭარევი; სოფლის ცხრუკვეთის ეკკლესიის, მღვდელი ნიკოლოზ წერეთელი, იმერეთის ეპარქიის შორაპნის მაზრისა; დაბა ოჩიერის, სუსტმის ეპარქიისა, მღვდელი დიმიტრი მარგარიანი;


გ) იღუმენის ხარისხით: მოწმეთის მონასტრის ხაზინადარი მღვდელ-მონაზონი ეგვეგი;

დ) მეტობის ჯერით ბოძებულით უწმიდესი სინოდისაგან: მასწავლებელი თფილისის სემინარიისა მღვდელ მონაზონი გარდამი; ეკზარხოსის ეკკლესიის მღვდელ-მონაზონი გედეონი; ამავე ეკკლესიის მღვდელ-მონაზონი ბლატონი; წინამძღვარი საფარის მონასტრისა იღუმენი საფარი; ხაზინადარი კობის ქრისტეს ფერიცვალების მონასტრისა მღვდელ-მონაზონი აბრამი; მელარე ამავე მონასტრისა მღვდელ-მონაზონი დიმიტრი; დროებითი მმართველი ზედანის მონასტრისა მღვდელ მონაზონი იოანნე; შუამთის მონასტრისა მღვდელ-მონაზონი შიმენი; იოანნე ნათლის მცემლის მონასტრის მღვდელ-მონაზონი გერასიმე; ყვიბის მთავარანგელოზის ეკკლესიის მღვდელი სიმონ ხუციეგი; ანანურის მიძინების ტაძრის მღვდელი გიორგი მგელაძე; ცხინვალის ეკკლესიის მღვდელი იროვიონ თქრთბილი; სამოთო სჯულის მასწავლებელი კავკასიის აქეთა მხრის სამასწავლებლო სემინარიისა მღვდელი იოანნე სინეკოვანდეკესკი; ახაშენის სამების ეკკლესიის მღვდელი იოსებ იაშვილი; ნუკრიანის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი ბასილი ნატიძე; ქუთაისის საფიჩხიის სასაფლაოს მღვდელი თომა ღუცელაძე; შორაპნის მაზრის მღვდელი ვლადიმერ აბრამიშვილი; კორბოულის ეკკლესიის მღვდელი, იმავე მაზრისა სპირილონ აბულაძე; საღმელის ეკკლესიის მღვდელი, რაჭის მაზრისა, პორფირე გერესელიძე; იმერეთის ეპარქია-

ლურ სასწავლებლის მღვდელი კონსტანტინე შანიძე; მზრუნველი ღორეულის სამრევლო სკოლისა, მღვდელი სიმონ ქურტანიძე; ლუხანოს სოფლის, ლეჩხუმის მაზრისა, მღვდელი კონსტანტინე ბურჯანაძე; იმავე ეპარქიის გაენათის მონასტრის მღვდელ მონაზონი მათე; ოცნებათის დედათა მონასტრის წინამდღვარი გურია სამეგრელოს ეპარქიისა იღუმენია ეკატირინა; გორის გვერდის ეკულესის მღვდელი, იმავე ეპარქიისა ბესარიონ იშნაიშვილი; ზუგდიდის ეკულესის მღვდელი, იმავე ეპარქიისა, მიხეილ ჯავახია; სუჯუნის წმ. გორგის ეკულესის მღვდელი, იმავე ეპარქიისა, ფილიმონ შატეავა; ფოთის სობოროს კათედრის ტაძრის შტატგარეთი მღვდელი გიორგი გვაზავა; ნალესოვის მაცხოვრის ეკულესის მღვდელი, გურია-სამეგრელოს ეპარქიისა, ლეონტი გაწერელია; სმეკალოვის წმიდა ნიკოლოზის ეკულესის მღვდელი ბენიამინ გლონტი;

9) კაშილავებითა: თფილისის ქალაქის თეოდოსიევის ეკულესის მღვდელი მიხეილ გრიფენევა; ახალ სოფლის წმიდა ნინოს ეკულესის მღვდელი ნიკოლოზ კანდელავა; მამკოლის მიძინების ეკულ. მღვდელი სოლომონ უსტივევა; სამთავისის საკრებულო ტაძრის მღვდელი ბერედიქტე შარქაძე; ახალ-უის ეკულესის მღვდელი ითანხე ელისაბედიშვილი; მოხის ეკულესის მღვდელი ილარიონ ხასუტოვა; ცხრა-მუხის წმიდა ნინას ეკულ სირ ს მღვდელი კონსტანტინე გურგენძე; ახალ-დაბის წმიდის გიორგის ეკულ. მღვდელი მიხეილ გიორგაძე; წალვლის წმ გიორგის ეკულესის მღვდელი ქრისტეფორე ჩარგვიანი; კობიანთ კარის ღვთისმშობლის ეკულესის მღვდელი სიმონ ხატისგაცი; კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკულესის მღვდელი გრიგორი კიგნაძე; ლოკახთვის მღვდელი ალექსი დვინიაშვილი; ლეჩხუმის ღვთის მშობლის ეკულესის მღვდელი გრიგორი სიანდე; მიხაილოვის ეკულესის მღვდელი ივნატი გრიგორი; მსხლების ეკულ. მღვდელი ალექს ანდრე ბელიზოვი; გორის სასწავლებლის ეკულესის მღვდელი ბასილი დადიანიძე; წინამდღვარი ქვედა ბეკის ელეკტროლეკტრისა მღვდელი გიორგი შოშინი; წინამდგარი კახის წმიდას გიორგის ეკულესისა ბესარიონ ფურცელაძე; ყარსის ფერიცვალების საკრებულო ტაძრის მღვდელი გიორგი ყარიბავა; კახის ეკულესის მღვდელი მიხეილ კულთშვილი; სოფლის ჯიხა-შის, იმერეთის ეპარქიის, ქუთაისის მაზრის მღვდე-

ლი სამსონ დევიძე; სოფლის ქვაკუდის, იმავე ეპარქიის ეკულესის მღვდელი ვლადიმერ კანდელავა; სოფლის ცეკვის, ლეჩხუმის მაზრის, მღვდელი ათანასე ჩარგვიანი; მიროწმიდის ეკულესის მღვდელი სამუილ დევდარიანი; სოფლის ჯიგთუბნის ეკულესის, იმავე ეპარქიის, ქუთაისის მაზრისა, მღვდელი პავლე შენგელია; სოფლის ქვედა გვირიშის, ლეჩხუმის მაზრისა, მღვდელი ბესარიონ მახარაბლიძე; იმავე ეპარქიის დაბლა ხონის ეკულესის მღვდელი ბესარიონ კაკაბაძე; იმავე ეპარქიის რაჭის მაზრის, სოფლის გორის ეკულესის მღვდელი ნესტორ შინდელი; ილმის წმ. გ-ის ეკულესის, იმერეთის ეპარქიის, მღვდელი გაიოზ შალრაძე; ბოლილის სოფლის ეკულესისა, გურია-სამეგრელოს ეპარქიისა, მღვდელი იოსებ დარბა; ქვედა თეკლათის მთავარ-ანგელოსთ ეკულესის მღვდელი თეოფანე კალანდარის შვილი; მეორე გურზემის მთავარ ანგელოსთ ეკულესის მღვდელი იესე ჯავახია; ფოთის საკრებულო ტაძრის მღვდელი გიორგი ბეგებეგორი; ზანის ნათლის მცემლის ეკულესის მღვდელი გაბრიელ შელია; მაკვანეთის მთავარ-ანგელოზის ეკულესის მღვდელი რომანოზ კალანდარიშვილი; საკიკიანის მაცხოვრის ეკულესის, იმავე ეპარქიისა, მღვდელი ფილიპე კვარაცხელია; ბოლბოტის ღვთაის მშობლის ეკულესისა, იმავე ეპარქიისა, მღვდელი ამბროსი გაწერელია; ონტოფას მთავარ ანგელოზის ეკულესის, იმავე ეპარქიისა, მღვდელი ერმალოზ უვანია.



ანუმასი

მწყემსმან კეთილმან სული
თვისი დაჭრების ცხოვართათვის
იოან. 10—11.

№ 10

1883—1908 წ.

31 მაისი

„იმართის მპარის სამღვდელოების პრეზის
საზურადლებოდ..”

ამ სათაურით ერთი სტატია იყო მოთავსებული გაზეთ „ამირან-“ში, რომლის ავტორი ბრძნდება ბ. შარაბიძე, ვგონებ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ნადზირატელი. იშვიათად შევხველრიგართ, რომ ამ სასწავლებლის შესახებ გულწრფელად და მიუდგომლად დაეპეტიროსთ რამე ამ სასწავლებელში მოსამსახურეთაგანს. რასაკვირველია, ამისთანა გულწრფელ მსჯელობას არც ბ. შარაბიძისაგან მოველით. რომ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი ცუდ მდგომარეობაშია ამის წინააღმდეგი არც ჩვენ ვართ, მაგრამ აქ სამღვდელოება არაფერ შუაშია. სამღვდელოებას არასოდეს გულგრილობა არ გამოუჩენია ფულების გამოლებაში, მაგრამ იხარჯებოდა და სასწავლებელი კი ისევე ცუდ მდგომარეობაშია. იმდენი ფულები, რამდენიც ამ ოთხ კლასიან სასწავლებელზე ეხარჯება სამღვდელოებას არც ერთ სასწარლებელზე არ იხარჯოდეს ვგონებ სხვაგან. ამ სასწავლებელში ზოგიერთმა სასწავლებლის ზედამხედველმა ხუთი ათასობით ჩაიჯიბა ფულები, მაგრამ სასულიერო მთავრობამ არა თუ ყურადღება არ სიაჟცია და არ დაითხოვა, არამედ იგინი უფრო აღამაღლა და დააწინაურა. თითქმის არც ერთი ამ სასწავლებლის უმფროსი არ დარჩენილა, რომ თავის სადგომის ოთახების მოწყობილობაზე დათანხმებულიყოს. ყველა ზედამხედველები თავის გემოზე და თავის სურვილზე მოაწყობდნენ ბუხრებს, ფეხებს და გასავალ გამოსავალ კარებსაც. ან კი ვის რა ენაღვლებოდა ფულების უთავბოლოდ დახარჯვა რო-

დესაც მათ ამისთვის გროში არ ეხარჯებოდა!.. ჯერეთ სულ იმაზეც ჩიოლნენ, რომ ბევრი შაგირდები არიან და ეს სწავლის საქმეს ძლიერ გვიშლისო. როცა სამღვდელოებამ მოსამზადებელი კლასები დახურა და პარალელური განყოფილებანი მოსპო, მერე თვითონ სასწავლებლის მასწავლებლებმა დაიწყეს მდურება: ჩვენ უადგილოდ ვრჩებით და პარალელური კლასები და მოსამზადებელი კლასები გასცენითო!

უკანასკნელ კრებაზე ქალების და ვაჟების კლასებზე სამღვდელოების თხო ათასი მანეთი ეთხოვებოდა. ბოლოს სამღვდელოების გარდა წყვიტა ჩამოსხმული გირვანჭა სანთლის ფას-სათვის მოემატებით ერთა აბაზი. ამ ანგარიშიდან უნდა შემოსულიყო ვქვესი ათას მანეთამდე, მაგრამ სამღვდელოებამ ითხოვა, რომ ოთხი ათას მანეთს გარდა შეენახათ ის და არაფერზე დაეხარჯათ. ეხლა იწერებიან, რომ სამღვდელოებამ სამი ათასი მანეთი უნდა შეორიტანოს, რადგან სანთლის ქარხნიდან არ შემოვიდათ. ეკალესიებიდან ხომ შემოდიოდა ეს ფულები და სად წავიდა? აი ეხლა მიხვდება სამღვდელოება კრების სუსტ მსჯელობას; როდესაც ამ სტრიქონების დამწერი უწრევდა კრებს, რომ კანტრალურებს დაავალონ, რომ სანთლის შემოსავალიდან სამღვდელოების კრების ნება-დაურთველიდ არაეს ექმნეს უფლება ფულის დახარჯვისო. სამღვდელოების კრებამ არ მიაქცია ყურადღება ამ განცხადებას და სანთლის კეთილად წარმარტებისათვის ძველი მმართველი და სიმონ ჭელიძე დანიშნა კიდევ კონტროლერებად და ჩვენი განცხადება და რჩევა უარ ჰყებს. ვინაც საღმე მოინდომებდა წაბრძანებას, ან ხატის ყიდვის გარდაცვალებულის მისართმევად (ეს აზრებულიდან სასა- კ. მარტინ სახ. სახლომწოდო რესპონსი

ცინო ჩვეულება ხატის მირთმევა გარდაცვალებულისათვის იმერეთში დაიწყო (პირველი) სანთლის ფულებიდან მიიღებდენ რამდენიც საჭირო იყო და ჯხლა სამღვდელოებას ეთხოვება, რაღან სანთლის ფულები არ არისო. ამის შემდეგ სანთელი უნდა გაიყიდოს ძველებურად და საჭირო ფული თუ მიუკილებელია მისი გარდახდა სამღვდელოებამ შეიტანოს...

ბატონი შარაბიძე გვიცხადებს, რომ მთავრობამ უკვე მიიღო და თანახმა არის სამღვდელოების სურვილისამებრ რვა კლასიან გიმნაზიად გადაკეთოს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელით და ესეთი აზრი ცხადათ სჩანს სინორის უქაზიდანო. (იხილე „მწყემსი“ №9.)

ნათქვამია ალია მოკვდაო, მაგრამ ვერ გაიგეს თურმე რომელი ალია მოკვდარიყო, რადგან ალია ბევრია. ბ. შარაბიძეს ან ვერ გაუგია სინოდის უქაზი, ან მოტყუება სურს სამღვდელოებისა. თქვენ ფულები შემოიტანეთ და სასწავლებელი რვა კლასიანად უკვე გადაკეთდათ, ახალი ენების მასწავლებელია საჭირო, თორემ საქმე გაჩაღებულია! დღიალ, ორი ახალი ენის მასწავლებელი აკლიან, თორემ სხვა მასწავლებელი უკვე მოსული არიან! აგერ წინაზე ბ. ჩოგოვაძე ვაკარტებუნებდა, რომ ქალების ეპარქიალური სასწავლებელი რვა კლასიან ქალების გიმნაზიად გადაკეთდათ, მაგრამ სინოდს არც კი გაუგია ამის შესახებ არა თუ პროგრამა დაემტკიცებია. ეს იყო სამღვდელოების მოსატყუებლად. დაგვისახელეთ, ბ. შარაბიძე, როდეს დამტკიცა სინოდმა ოთხ კლასიანი სასწავლებლის პროგრამა რვა კლასიან გიმნაზიის სასწავლებლის პროგრამად? დაგვისახელეთ ჭ უქაზისა და რიცხვი როდის დაიწერა ეს უქაზი. იქნება თქვენ ფიქრომთ, რომ არსებობს კომიტეტი სინოდთან, რომელიც ფიქრობს ახალი პროგრამების შედევნას? თუ მართლა ასე ფიქრობთ ძლიერ მოტყუებული ბრძანდებით. რაიცა შეეხება ზემო მოყვანილ უქაზის სიტყვებს ის თქვენ ვერ გაგიგიათ, თორემ გიმნაზიას კი არა უბრალო სემინარიასაც არ განიჭებს სინოდი. სინოდის აზრია, რომ ქუთაისში რამე საშუალო სასწავლებლის მსგავსი დაარსონ, რომელსაც შეეძლოს საპრიტეტნიკო და სამღვდელო კანდიდატების მომზადება. სრული სემინარიის დარსებას შესაძლოთ არა რაცხს ივი. წიგნთ სა-

ცავი ოთხ კლასიან სასწავლებლისათვის გვიჩუქნიათ და თუ რამე საშუალო სასწავლებლის მსგავსი სასწავლებელი გაიხსნებათ მაშინ მისთვის გვიჩუქნიათ!?

ე. ი. თუ საპრიტეტნიკო სემინარია გაიხსნებათ... შარაბიძე კი არწმუნებს სამღვდელოებას რვა კლასიანი გიმნაზია გვეხსნება, საჭიროა მხოლოდ ახალი ენების ორი მასწავლებელი... მორჩა და გათავტდა!..

ამას წინეთ ერთი შესანიშნავი აზრი მოსელოდა სასწავლებლის სამმართველოს — მოწოდებით მიქცევული სამღვდელოებისა და საზოგადოებისადმი, რომ ფულების შეკრებით დაეხმარონ სასწავლებელს. სამმართველოს იმედი აქვს თურმე ფულები შეგროვდება ამ გზითო. ჩვენ არა გვჯერა ეს, მაგრამ ღმერთმან ინებოს სამმართველოს აზრი ასრულებულ იყოს და შარაბიძის აზრისამებრ რვა კლასიან გიმნაზიად გადაკეთებულიყოს ეს საცოდავი სასწავლებელი. მაგრამ ამას ჩვენი სამღვდელოება ვერ მოესწრება და სხვა რამე რომ იფიქროს თავის შვილების აღსაზრდელად ისა სჯობია. ან კი რა საჭიროა სემინარიის და გიმნაზიის კურის გათავება როცა პატარა ხანს იქით „დელეგატებისაგან“ გამოთხოვილი რეფორმით სამღვდელო კაცებად ყველია შეუძლია არჩევა? ეხლა ფულზე საქმე და არა სწავლაზე!..

სამღვდელოებას მოახვიეს თავზე ისეით რეფორმა, რომელიც მას არავისთვის არ უთხოვნია...

დ. დ. დ—ქ.

სამართლებო სულმოკლეობა.

(თარგმანი.)

როგორც ყინული და სიცხე, ცეცხლი და წყალი ერთმანეთთან ვერ მოთავსდებიან, ეგრეთვე სიკეთესი და ბოროტების ერთად ყოფნა შეუძლებელია. თვითეული იმათვანი სცდილობს მოსპოს მეორე. სიკეთე სცდილობს გონებაზე მოიყვანოს ხალხი გულწრფელი სიტყვით, ლვთის სიმართლისადმი მხურვალე მოწოდებით; უღვიძებს ხალხს დაძინებულ სინიდის, განამტკიცებს მის სუსტ ნებას და მიჰყავს იგი თავისკენ; ბოროტება, პირიქით, სცდილობს მოსპოს სათავეშივე ყოველი კეთილის დაწყება, ყოველი კეთილი აზრი; არავითარ საშუალებას იგი არ ერიდება: სადაც შესაძლებელია

ცავი ოთხ კლასიან სასწავლებლისათვის გვიჩუქნიათ და თუ რამე საშუალო სასწავლებლის მსგავსი სასწავლებელი გაიხსნებათ მაშინ მისთვის გვიჩუქნიათ!?

შარაბიძე კი არწმუნებს სამღვდელოებას რვა კლასიანი გიმნაზია გვეხსნება, საჭიროა მხოლოდ ახალი ენების ორი მასწავლებელი... მორჩა და გათავტდა!..

ამას წინეთ ერთი შესანიშნავი აზრი მოსელოდა სასწავლებლის სამმართველოს — მოწოდებით მიქცევული სამღვდელოებისა და საზოგადოებისადმი, რომ ფულების შეკრებით დაეხმარონ სასწავლებელს. სამმართველოს იმედი აქვს თურმე ფულები შეგროვდება ამ გზითო. ჩვენ არა გვჯერა ეს, მაგრამ ღმერთმან ინებოს სამმართველოს აზრი ასრულებულ იყოს და შარაბიძის აზრისამებრ რვა კლასიან გიმნაზიად გადაკეთებულიყოს ეს საცოდავი სასწავლებელი. მაგრამ ამას ჩვენი სამღვდელოება ვერ მოესწრება და სხვა რამე რომ იფიქროს თავის შვილების აღსაზრდელად ისა სჯობია. ან კი რა საჭიროა სემინარიის და გიმნაზიის კურის გათავება როცა პატარა რა ხანს იქით „დელეგატებისაგან“ გამოთხოვილი რეფორმით სამღვდელო კაცებად ყველია შეუძლია არჩევა? ეხლა ფულზე საქმე და არა სწავლაზე!..

სამღვდელოებას მოახვიეს თავზე ისეით რეფორმა, რომელიც მას არავისთვის არ უთხოვნია...

იგი მოქმედობს პირდაპირ ძალმომრეობით; სადაც ძალა არ გაუვა, ხმარობს ეშმაკობას, პირფერობას, მოტყუებას; თუ ეს არა, მიჰმართავს ჭორს, საძგელს ცილის-წამებას; საწყენ ხუმრობას, უკეთურ დაცინვას, ბრიყულს მსხარობას. მოიგონეთ სახარება. ორგორც-კი დაიბადა ბეთლემში ქვეყნის მაცხოვარი, და მასთან ერთად ქვეყნად ჩამოვიდა მთლიად სიმართლე ღვთისა, როგორ სცდილობს ბოროტება დაღუპოს იგი აკანშივე! იროდი ათასობით ხოცავს ბავშვებს, რომ იმათში მოაყოლოს ბავშვი იქსოც. გადის ოცდა ათი წელიწადი. იქსო ქრისტე მარხვითა და ლოცვით უდაბნოში ემზადება ხალხის ცხოვრების საქმისათვის; — ბოროტი სული-კი სხვა და სხვა გამოცდით, მაცოცურებ ით პირფერობით, ეშმაკობით სცდილობს დააშლეთ, ნოს მას მოწოდება ხალხისა ახალ, კეთილ, ღვთის-ნიერ ცხოვრებისადმი. გამოდის იქსო ქადაგებაზე ღვთაებრივი სიყვარულის სიტყვით აგროვებს თავისთან ხალხს, გასწმენდს უწმინდურ გულს მემრუ-შეთ და მეზვერეთა; — იმას დასკინიან, უწოდებენ მას ბელზებულად. (მათ. XII, 24); არ უნდათ ჩარიცხონ იგი იუდეველებში; ამობენ, რომ ის სამარიტელია, განვდებულია, განდონმილია რჩეული ხალხისაგან, რომ იმას ეშმაკი ჰყავს. ასეთია აუკილებელი ეკლიანი გზა სიმართლისა, სიკეთისა და სიყვარულისა. ასე იყო, არის და იქნება. მაცხოვარი ეუბნება თავის მოწაფეებს: ასე სდევნიდნენ წინასწარმეტყველებს, რომელნიც თქვენს წინათ იყვნენ, ასე მსდევნიან მე, თქვენც ასე დაგიწყებენ დევნას.

ხალხის ცხოვრების გზაზე ამოსულია ხშირი ეკლიანი ძეგვი. ხალხის უსამართლოება, უსჯულოება და ყოველგვარი გარყუნილება, დაბურვილი გაუვალი ტყესავით, გვილობამენ ჩვენ გზას ღვთისაკენ, მის სიყვარულისა და ჰეშმარიტებისაკენ. საჭიროა, რომ ვინმე ამ დაბურვილ ტყეში გაიტანოს გზა ღვთის სიმართლისკენ, გაპკაფოს ეკლიანი ძეგვი და გასწმინდობ გზა. ეს საქმე, რა თემა უნდა, არ უსრულდება უშრომოდ და გაუკაშვრელად: ხორკლიანი ტოტი გამოედება, ან დაპკრავს და ატკენს, ძეგვის ეკლები ღრმად ჩაერჭობიან. „სასუფეველი ცათა იძიულების, და რომელნი აიძიულებენ მათ მიიტაცონ იგი“, გვეუნება მაცხოვარი (მათ. XI, 12). გზა მთაზე ყოველთვის

საძნელო და დასაღალავია; სამაგიეროდ, რანაირი სანახავი იშლება თვალ-წინ მთავრი წვეროდგან, რანაირი სცუცხლოვ სახეები ეხატება თვალს, როგორი სუფთა, განმამტკიცებელი ნიავი მოჰქმის ზევით, როგორ აღვილად და თავისუფლად სუნთქვას გული! „ზე გვაქვნდინ გული“!

სირცხვილია და ცოდვაა გვეშინოდეს შრომისა და ტანჯვისა ჩვენი ცხოვრების ღვთის სიმართლის მწვერვალოზე ასატანად. რამდენ ღონისძიებას ვემარობთ, რომ რაც შეიძლება კარგად მოვაწყოთ გარეგნული კეთილ დღეობა ჩვენი, ჩვენი შეილებისა და, საზოგადოდ, შთამომავლობისა. ვაჭრობის და სარგებლობის გულისოვის კაცები რამდენიმე ათი დღით მოგზაურობენ უწყლო უდაბნოებში, ნავით დასკურავენ ქარიშხალიან საშიშ ზღვებში, გადიან მთების საშინელ და ძნელად-გასავალ ციცაბოებზე. დღიური საზრდოს მოსაპოებლიად, კაცი ზღვის ძირშიდ ყურყუმელაობს მარგალიტისათვის, აღის მიუვალ კლდეებზე ფრინველის ძეირფასი ბუმბულისათვის, სთხრის ღრმად მიწას, თხუნელასავით, რკინეულობის და ქვის ნახშირის თაპოვნელად. ნუ თუ ოქრო ღვთის სიმართლისადა მარგალიტი ქრისტეს სიყვარულისა არა ღირან შესაფერ შრომად? იმაზე ძეირფასი სამკვიდრებელი აღარ არის ბავშვებისთვის, როგორც სამკვიდრებელი სიყვარულისა, სიკეთისა და სიმართლისა. თუ მართლა ჩვენ გვინდა მოვაწყოთ ჩვენი და მოყვასის კეთილ დღეობა, ამისათვის ყველაზე პირველად საჭიროა ჩვენსა და სხვის ძალებს მივცეთ მიმართულება მოსაწყობად კეთილის, სამართლიანის და ძმურის ცხოვრებისა. სახარებაში არის ნათქვამი: „ეძიებდით პირველად სასუფეველსა მღვთისასა და სიმართლესა მისსა, და ყოველი დანარჩენი შეგეძინოთ თქვენ.“

უსამართლობა და საწყენი ცილისწამება იქნება, თუ ვინმე დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ ხალხი არ ძეგბს ღვთის სიმართლეს, არ მიისწრაფების სიკეთისკენ, ერიდება სახარების სიყვარულს, რომ არ არიან მუშაკნი; რომელთაც შეეძლოთ შრომა ქრისტეს საქმისათვის, და რომელნიც ხმარობდნენ თავის ძალას ღვთის სასუფევლის დამყარებისათვის ქვეყნად. თუმცა ეხლაც სახარების სიტყვებს: „სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი მცირედ.“ არ დაუკარგავთ ძალა, მაგრამ მაინც რიცხვი ღვთის

მუშაკთა იზრდება. უმთავრესი ნაკლულევანება იმაში-კი არ არის, რომ ეს მუშაკი ცოტანი არი-ან (მაცხოვარმა გაგზავნა საქაღაეგბლად სულ ცო-ტა ჯუფი მოციქულვბისა, მაგრამ იმათ შესცვა-ლეს მთელი ქვეყნის ცხოვრება), არამედ სულის სიძლიერის ნაკლებობაშია. თავის საქმის რწმენის სიმცირეშია ვინც ლვთის საქმეს სპიდებს ხელს,

ჩვენ ზოგჯერ მზათა ვართ თავგანწირული შრობისათვის ქრისტეს საქმეზე; ჩვენს ძალას, დროს, შრომას არ ვზოგავთ და უანგაროთ ვაძლევთ ამა თუ იმ კეთილ საქმეს, მაგრამ ამასთან ესაჭიროებთ საზოგადოების თანაგრძნობას. ხოლო როდესაც სამუქრად გვაძლევენ ეკლის გვირგვინს, არავინ არ გვშველის და ყველა დასკინის ჩვენ საქმეს, რო-გორც ამაოს და უსარგებლოს, — მაშინ წვენ სუ-ლით ვეცემით, ხელებს ძირს ვუშვებთ და გვეკარ-გება ხალისი შრომისა. ეს სამარცხევინო სულმოკ-ლეობაა. ჩვენ გვავიწყდება მაგალითი თვით უფლი-სა იესო ქრისტესი, მოციქულებისა, ძველი დროის ქრისტიან მოწამეებისა და ლვთის სასუფევლის ლვწ-ლით შემოსილთა. იესო ქრისტეს წინააღმდეგ იყვ-ნენ: მეფე იროდი, სინედრიონი, ყველა მწიგნო-ბარი და ფარისეველნი — ეს წინამდლოლნი და მასწავლებელნი ხალხისა; იმას არ იღებდნენ თვით ხორციელათ დახსლოვებულნი; მისი არ ესმოდათ ზოგჯერ მუდამ მასთან მყოფ მოწაფეებს. ხალხმა, რომლისთვისაც იესოს ასე შესტკიოდა გული, და რომელსაც ამდენ კეთილს უშერებოდა, ამჯობინა იმას ბარაბა ავაზაკი, და მიუხედავად ყველა ამისა, მაცხოვარმა სულ ცოტაც არ დაიწია უკან თავის საქმისაგან, ის ამობდა: „ჩქრი ჯერ-არს საქმედ საქმესა მომავლინებელისა ჩემისასა.“ (იოან. IX, 4). სხვები რას გააკეთებენ, როგორ მოექცევიან ლვთის საქმეს, ამაში თითონ ისინი მისცემენ ღმერთს პა-სუხს. — ეს იმათი სინიდისის საქმეა. ამასვე გვამც-ნევს ჩვენ მაცხოვარი: შენ იცი, ხალხს ყველაზე პირველად და ყველაზე მომეტებულად ესაჭიროება კეშმარიტება ლვთისა, მაშ სთხევ იგი შენს გარშე-მო, რამდენიც შეგიძლიან და ძალა შეგწევს; ეს შენი მოვალეობაა.

ავადმყოფს სურს თუ არა უნდა მიიღოს წა-მალი; აქებს ექიმს, თუ აძაგებს, სიხარულის ღიმი-ლით ხვდება მას, თუ ბოროტებით ზურგს აქცევს, — ექიმი მაინც არ სტოვებს ავადმყოფს, და ჰეიქ-

რობს მხოლოდ ერთზე: როგორ უშველოს მას, დაუბრუნოს ძალ-ღონე, ფეხზე წამოაყენოს. შენც ამისთანა ექიმი უნდა იყვე შენი მოძმეების სულისა.

როდესაც ჩვენ გვშიან და ჭამას შეუდგებით, ჩვენ ყურს აღარ ვუგდებთ, მოწონთ თუ არა სხვებს ჩვენი საქმე. შიმშილის დაკმაყოფილებაში ჩვენ არა ესაჭიროებთ სხვების თანაგრძნობას. ესევე უნ-და იყვეს, როცა ჩვენ ვმუშობთ ლვთის საქმეზე. სახარებაში ნათქვამია: იესო ეუბნებოდა მოწაფეების: „ჩემი ჭამადი არი, რათა ვყო ნება მომავლინებელი-სა ჩემისა, და ოღვასრულო საქმე მისი.“ (იოან. IV, 34). ნურასოდეს ნუ იქნები ამ საჭმელის მშიე-რი; ნუ იტყვი ამ საჭმელზე უარს იმისთვის, რომ სხვებს არ მოსწონთ იგი. ეს საჭმელი, — ნება ლვ-თისა, — უმთავრესი წყაროა საუკუნო ცხოვრებისა. ხალხმა არ იცის ჯერ იმის გემო, არ აფასებს მას. პატარა ბავშვების მსგავსად, ხალხი, ნაცვლად ნო-ყიერი მარგებელი საჭმელისა, — ეტანება მაწყინარ ტკბილ საჭმელებს. თუ შენ უარს იტყვი, სულმოკ-ლეობით, მარგებელ საჭმელზე, ვინ ასწავლის ხალხს ისაზრდოვოს იმითი, რაც მართლა ასაზრდოვებს?..

ძველ ქრისტიანებს დასკინოდნენ ქრისტეს ქადაგებისთვის; მიაწვდათ ისინი უგნურებად; სცდი-ლობდნენ საპყრობილის, წვალების და საჯელის საშუალებით გადაერჯულებინათ, ახალი სარწმუ-ნოებით ქრისტიანები მაინც მტკიცედ იდგნენ თავის სარწმუნოებაზე, ცხოვრების თავისებურ შე-ხელულებაზე და თავის ტანჯვა-წვალებით მტრებს გულში უნერგავლენ ქრისტიანობისადმი პატივის-ცემას.

„მაშასადამე, ქრისტიანობა უბრალო ცრუ-მორწმუნეობა არ არის, — ფიქრობდნენ წარმართნი, — თუ კი იმას ხალხი სიხარულით სწირავს თავის სიცოცხლეს; ქრისტიანობაში ყოფილა ისეთი რამე, რაც ხალხისათვის სიცოცხლეზედაც უძვირფასესია; და ამ ნაირად ქრისტიანების სიმტკიცე უნერგავლა წარმართებს დიდს პატივისცემს იესო ქრისტეს წწავლის მიმართ.“

სხვისი ჩაგონება, რომ ლვთის საქმეს ყველაზე მაღლა აყენებდეს, შეგიძლიან მხოლოდ მაშინ, როდესაც შენ თითონ ამას ყველაზე მაღლა აფასებ, და ამას ამტკიცებ თვით საქმით.

ჩამდენიმე წლის წინეთ შვეიცარიაში, ერთ საქარხნო სოფელში, სახარების საქაღაეგბლად მი-

ვიდა მცირე გუნდი მქალაგებელთა. სოფლის მცხოვრებინი,—ქარხნების მუშები,—ძალიან გარყვნილი ხალხი იყო: ლოთობა, საძაგელი გარყვნილობა, ლანძღვა-გინება, ღვთის-გმობა, მუდმივი ჩხუბი—ყველა ეს ხდიდა ამ სოფელს პატარა სოფომად და გომორად. აი სწორედ აქ მოვიდა ის გუნდი საქალაგებლად.

პირველივე შაბათ დღეს, როცა მუშებმა მიიღეს სამუშაო ფული, და როდესაც ეს შრომით და ოფლით მოგებული ფულები იხარჯებოდა საზიზლარ გარყვნილობაზე,—მაშინ მოსულ მქალაგებლებმა დაიწყეს სიარული სასტუმროებში და სირაჭნებში და ეუბნებოდნენ ხალხს:

— კეთილდო ხალხო! გონს მოდით, ღვთისა გეშინოდეთ, გებრალებოდეთ თქვენი ცოლ-შვილი. სახლში თქვენი ოჯახობა გელით მშიერ-მწყურვალი, თქვენ-კი აქ ლოთობაზე აგებთ თქვენ უკანასკნელ ფულს. მთელი დღები და კვირები მჴვარტლში, მტვერში და დაშაამულ ჰაერში წელს იწყვეტილით მძიმე მუშაობით და ნუ. თუ იმისთვის რომ ეხლა კიდევ მოიშაომოთ არაყის საწამლავით დაჭკარვოთ გონება, გადაიქცეთ უშნო პირუტყვებად, მიხვიდეთ სახლებში, და ველური მხეცებივით, სიხარულისა და მხიარულების ნაცვლად, მიუტანოთ თქვენ ბავშვებს ცემა-ტყება, ლანძღვა-გინება, მწუხარება და ცრემლები? თქვენ ხომ ადამიანები ხართ, ღვთის გონიერი ქმნილებანი! თქვენთვისაც მოვიდა მაცხოვარი ქვეყნად, თქვენც მოგიწოდათ თვისი სიტყვით, თქვენთვისაც დაანთხია თვისი სისხლი. მოსპერთ თქვენგან მხეცური შესახედაობა, გონს მოდით, ადამიანებად გადაიქცეცით!

არ მოეწონათ მუშებს ეს სიტყვები. მოწოდება გასწორებისაღმი, ფხიზელ კეთილ ცხოვრებისადმი,—იმათ მასხარად აიგდეს, მიიღეს უშვერის ლანძღვით, მუქარით, რომ სიტყვას გააწყვეტინებენ. მქალაგებელნი არ შეშინდნენ პირველის შეხვედრის უსიამოვნებით; მთელი კვირის განმავლობაში ისინი დადიოდნენ სახლებში, საუბრობლნენ ქალებთან და ბავშვებთან, რომელიც სამუშაოზე არ დადიოდნენ, ხოლო შაბათს ხელმეორედ დაიწყეს გალაშქრება წინააღმდეგ ლოთობისა. ძალზე ნაწყენი მუშები გინებიღვან გადაიღნენ ჩხუბზე და მქალაგებლები ცემით გარეკეს სოფლიდან. ესენი ულაპარაკოდ დაემორჩილნენ, მაგრამ შემდეგ შა-

ბათს ხელახლა მოვიდნენ იმ სოფელში და შეუდგნენ თავის საქმეს. სცდილობდნენ და ერთი გებელი ხალხი. დამთვრალი მუშები სიბრაზი-საგან გაცხარდნენ; საშინელის წყევლა-კრულვით მისცვიდნენ იმათ, ვინც ელაპარაკებოდნენ მათ ღმერთზე და მის სიმართლეზე. სასიკვდილოთ სცემეს მათ და ბოლოს იმათი უფროსი დაიჭირეს, ჯვარს-აცვეს, ქრისტეს მსგავსაც, რომელზედაც ის ელაპარაკებოდა; და ღვთის მგმობელი ლექსების სიმღერით დაჭქონდათ ჯვარი ჯარუმულით სოფელში, ხოლო შემდგომ ისიც და მისი მეგობრებიც, უგრძნობლად ნაცემები, გააგდეს სოფელ გარედ.

დილით, როდესაც სიმთვრალემ გაიარა, მუშებმა მოიგონეს გუშინდელი ამბავი და შეშინებულები დაფიქრდნენ, თუ რა მოელით ამათ ველურის თავხელობისა და ძალმომრეობისათვის. ისინი მოელოდნენ სასტიკ სასჯელს; მაგრამ მოხდა ის, რასაც ისინი ვერ მოიფიქრებდნენ. მუშებისაგან ნაცემი მქალაგებლები დილით, როგორც-კი ღონებე მოვიდნენ და მორჩინენ, ხელახლა მივიღნენ თავიანთ გუშინდელ მწვალებლებთან და, თითქოს არა ყოფილიყოს-რა, სიმშვიდით და სიყვარულით კვალადვე დაუწყეს მათ ლაპარაკი იმათგან დავიწყებულ ღმერთზე, მის გათელილ სიმართლეზე, იმათ დაღუპულ სულზე. სიყვარულმა სძლია ბოროტებას; მუშებმა აღარ გაუწიეს წინააღმდევობა კეთილის მქალაგებლებს: ცრემლებით შემოქვიდნენ იმათ, კისაც გუშინ თითონ ატირებდნენ; ჰკოცნიდნენ იმათ ხელ-ფეხს. სთხოვდნენ პატივებას, ეფუცებოდნენ ახალი ცხოვრების დაწყებას, სთხოვდნენ, რომ არ წასულიყონენ იმათგან. გავიდა ორი წელიწადი; სოფელი მთლად გამოიცვალა: ჯოჯოხეთი სამოთხედ შეიცვალა. სიფხიზლე მცხოვრებლების, ოჯახური მშვიდობა და ქონებრივი მათი შეძლება სამაგალითოდ გახდა.

მთელი ეს გამოცვლა გაფუჭებული მუშების ცხოვრებისა წარმოსდგა, რასაკვირველია, არა რიცხვისაგან მქალაგებლებისა, არამედ იმათი სულის სიძლიერისაგან, იმათი შეურყეველი, უძლეველი სიყვარულისაგან დაღუპულ ძმათა მიმართ, რწმენისაგან, რომ სინათლე დასძლევს სიბნელეს, რომ სიმართლე აჯობებს ტყუილს, რომ სიკეთე დასძლევს ბოროტებას, მიუხედავად ყველანაირ დაბრკოლებისა. კაცმა უნდა იქონიოს მომეტებული

რწმენა სიკეთის უძლეველობისა, მეტი სიმამაცე სიმართლისათვის ბრძოლაში, მეტი შეურყეველობა ბოროტების წინაშე მტრობისა და ეშმაკობისა.

მართლაც, ბოროტება ისეთი ძლიერია ქვეყნად, ასებრძანებლობით მფლობელობს ქვეყანაზე არა იმისთვის რომ იმას უძლეველი ძალა ჰქონდეს, არამედ იმისთვის, რომ ჩვენ სუსტად ვიბრძით იმის წინააღმდეგ; პირველივე მარჯვედ დახვედრაზე მტრისა, სულმოკლედ კსტოვებთ დაწყებულ კეთილ საქმეს, მივდივართ განზე, და ცხოვრება ისევ ძველებურ მწუხარე გზით მიმდინარეობს.

ხშირად საკმარისია რამდენიმე უგუნური დაცინვა, რომ გულწრფელიად გამნევებული კაცის კეთილი მისწრაფება უკან დასწიოს, შეასუაროს თავ გამოდება გულსმოდგინე მუშაკისა, დაღუპოს სათავეშივე ყოველი კეთილი საქმე: ჩვენში დასკრინიან ბევრს რამე კეთილს: დასკრინიან კაცს, თუ იგი ლვთისნიერი და ლვთის-მაველრებელი გახდა, თუ დაიწყო საღმთო წერილის სწავლა, თუ თავი დაანება გარყვნილებას და დაიწყო ფაზიზლათ ცხოვრება, თუ თავი დაანება ქალალდის თამაშობას, თუ კეთილი სიტყვით დაიწყო სხვისი დარიგ-ბა, თუ დაიწყო საზოგადოების სასარგებლოდ რომელიმე კეთილი საქმე,—ყველაფერს დასკრინებენ, მასხარად აიგდებენ. ამისთვის გრძამაც სამართლიანად სთქვა: „ვენ იმისთვის გვიხდება ტრილი, ტრილი ესე ხშირად ბევრ რამეზე, რომ ძალიან ბევრს ვიცინით ყველაფერზე.“

და ის-კი არ არის სამწუხარო, რომ ხშირად გვდესმის უგუნური სიცული, არამედ ის, რომ ბევრს ეშინიან ამისი, იმალებდა მისგან, თოთქოს თავისი კეთილი საქმისა რცხვენოდეს, თავისი მშვენიერი სიტყვებისა, კეთილი აზრებისა, ბრწყინვალე განზრახვისა. ბევრს არ ეშინიან შოჩვენებისა, იციან-რა, რომ ეს ტყუილია, როტვაა იყალმყოფი თავისა; ბევრი უშიშრად სდგას ომის ადგილზე, საღაც ტყვია ზუზუნით მოდის; ბევრს არ ეშინიან უმფროსის გაჯავრებისა. თამამად იტყვის მართალ სიტყვას,—მაგრამ, როგორც ცეცხლისა, ისე ეშინიან დაცინებისა, ხალხის მრუდე შეხედვისა, შფოთდება იმითი, რასაც ლაპარაკობენ იმაზე სხვები. ერთი ინგლისელი მწერალი მოგვითხრობს ასეთ შემთხვევას: კაზარმაში, ბრიუვ და გაფუჭებულ სალდათებში მოჰყვა მშვიდი, ღმვთის-მოშიში ჭაბუკი. იგი დახვეული იყო სახლში დილა-საღამოთი ლოცვას. ბრიყვმა ამნანაგებმა პირველ დღესვე დაუწყეს და-

ცინვა, ესროდნენ მას ბალიშებს და წალებს, ხარხარით, სტენით, ღვთის საგმობელო სიმღერებით გარს ეხვეოდნენ მას და ლოცვას — უშლიდნენ. შეკრთა ახალგაზრდა სალდათი, ვერ იტანა დაცინვა.

„ლმერთი,—ფიქრობდა ის,—ხომ ყველგან ხე-დავს; ვილოცამ ლოგინში, საბნის ქვეშ.“

მართლაც ასე მოიქცა. გავიდა დიდი ხანი. ბოლოს, ერთხელ მეზობლად მწოლარე სალდათმა შეამჩნია ეს, და როცა მარჯვე დრო ნახა, უსაყვე-დურა მას და უოხრა:

— მე არა ვლოცულობ, იმისთვის რომ გავ-ფუჭი, გადავეტვი ლოცვას; შენთვის-კი სირცეში-ლია ლოცვისათვის ლოგინში იმალებოდე. ამის შემთხვევა შენ როგორილა სალდათი ხარ! შეგვეშინდა დაცინვისა, საბან ქვეშ იმალები! მაში ომშიაც. როცა შენზე ტყვია წამოვა, მაშინაც საბანში დაიმა-ლები? თუ არ გინდა ლოცვა, ნუ ილოცამ; ხოლო თუ ძირდფასად მიგამინია ლოცვა, ნუ დაიმალები ლოცვის გამო. უგუნური ხალხი დაცინის, და შენ კი მათ დაუვარდი; არა, შენ შენი გაიტანე, და იმათ დაათმობინე შენთვის!

გული მოეცა სალდათს; ხელახლა დაიწყო განცხადებულად ლოცვა, დაუწყეს კიდევ დაცინვა, და ეს დაცინვა თან და თან ჩაჩუმდა. გავიდა რა-მოდენიმე დრო, სხვა სალდათებმაც მიპარებს მას და თითონაც დაიწყეს ლოცვა; ბევრმა იმის მაგა-ლითით შეიძინა ლოცვანი, სახარება; და ამის შემ-დეგ მათი ცხოვრება გამოიცვალა, ბევრად გაუმ-ჯობესდა. „მცირემან ცომმან, ამობდა მოციქული, ყოველივე შესვარული აღაფუტენის“ (გალატ. V,9); ხოლო მარილმა, თუ თავისი ძალა დაკარგა, იგი უნდა გადაყრილ იქმნეს გარეთ დათრგუნვად კაცთა მიერ. (მათ, V,13).

მაშ რა ვუყოთ მკითხველო, როგორი უნდა ვიყენეთ მე და შენ ცხოვრებისთვის? ქრისტეს კე-თილ პურის-ცომად, თუ მარილად, რომელმაც ძა-ლა დაკარგა? წავიდეთ ჩვენ ხალხთან ქრისტესთან ერთად, და თუ საჭირო იქნება დავითმინოთ და-ცინვაც, გინებაც და ტანჯვაც? თუ ხალხის უსა-მართლებასთან და გარყვნილობასთან ერთად, თითონ ჩვენ დავცინოთ სახარების სიტყვას და თა-ვი მიგანებოთ მაცხოვრის საქმეს?

ორი სხვა და სხვა ნაირი გზა სძევს ჩვენ წინ, და რომელიც უკეთესია, თქვენ თითონ ამოირჩიეთ!

მდგ. ითანენ დაუკიანოვი.

რეზლენიშვილის სიცხვა განცხელებულ გრიფოლ ეპისკოპოზზე.

